

# ახალი კორონავირუსი (COVID-19)

## პერინატალური სერვისების განხორციელება ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების დროს.

დღეისათვის არ არის ცნობილი, იმყოფებიან, თუ არა ორსული ქალები COVID-19-ით დაინფიცირების მაღალი რისკის ქვეშ. თუმცა, რამდენადაც ორსულობის დროს ორგანიზმი განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, რომლებმაც შეიძლება გაზარდოს ზოგიერთი ინფექციის რისკი, მნიშვნელოვანია მათი დაცვა კორონავირუსული ინფექციისაგანაც.

შესაბამისად, ეპიდემიური სიტუაციის პირობებში ყველა ანტე და პერინატალური სერვისის მიმწოდებელმა დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს შემდეგი რეკომენდაციები:

**ა)** ანტენატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება თავის დაწესებულებაში აღრიცხვაზე მყოფ ყველა ორსულთან ამყარებს კომუნიკაციას (ტელეფონით, ინტერნეტით და სხვა ნებისმიერი ხელმისაწვდომი დისტანციური საშუალებით) და აწვდის რეკომენდაციებს COVID-19 პანდემიის პირობებში უსაფრთხოებისა და სამედიცინო დაწესებულებასთან ურთიერთობის წესების შესახებ;

**ბ)** ორსულობის პერიოდში, მწვავე რესპირატორული სიმპტომების (ყელის სიმშრალე, მშრალი ხველა, მაღალი ტემპერატურა, ფაღარათი, სხვ.) გამოვლენისას, პირველადი კომუნიკაცია ოჯახის ექიმთან/მეან-გინეკოლოგთან ხორციელდება სატელეფონო კონსულტაციის საშუალებით, რომლის დროსაც ხდება დეტალური ანამნეზის შეკრება როგორც პაციენტის ჩივილების, ასევე COVID-19-ით დაინფიცირებისათვის სარისკო კონტაქტების (მათ შორის მოგზაურობის ისტორიის) გამოვლენის მიზნით;

**გ)** იმ შემთხვევაში, როდესაც ანამნეზით COVID-19-ით დაინფიცირების სარისკო კონტაქტი გამოირიცხება, ორსულის მართვა (საჭიროების შემთხვევაში ბინაზე) ხორციელდება ოჯახის ექიმის მიერ ანტენატალური სერვისის მიმწოდებელ ექიმ-მეან გინეკოლოგთან კომუნიკაციით, პაციენტის მდგომარეობისა და ორსულობის ვადის გათვალისწინებით;

**დ)** სამედიცინო დაწესებულებაში ორსულის ვიზიტის განხორციელებასთან დაკავშირებით გათვალისწინებული უნდა იქნეს შემდეგი რეკომენდაციები:

- ექიმთან კონსულტაციისთვის გამოყენებული უნდა იყოს სატელეფონო და ინტერნეტ-საშუალებები;

- აუცილებლობის შემთხვევაში, დაწესებულებაში ვიზიტი ჩანიშნულ უნდა იქნას დროის ისეთ პერიოდში, როდესაც სრულად იქნება გამორიცხული სხვა პაციენტებთან კონტაქტი;

- მაქსიმალურად იქნეს შეზღუდული დამატებითი ვიზიტები;

- ამბულატორიული მიღებისა და კონსულტირებისთვის გამოყენებული უნდა იქნას ისეთი კაბინეტები, რომელთა მოსაცდელი გამიჯნულია დაწესებულების საერთო მოსაცდელი სივრცისგან;

- დაწესებულებაში ვიზიტის დროს ორსულს უნდა ეკეთოს ნიღაბი და შესვლის წინ დაიმუშავოს ხელები ხელის ანტისეპტიკით/სანიტაიზერით; • სამედიცინო სერვისის მიმწოდებელი ყველა პირი აღჭურვილი უნდა იყოს ქირურგიული ნიღბით და მკაცრად იცავდეს უსაფრთხოების სათანადო ზომებს.

**ე)** ყველა ორსული, რომლებიც წარმოადგენენ COVID-19-ის დადასტურებულ ან სავარაუდო შემთხვევას (მიუხედავად დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადისა), ექვემდებარება მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციას;

**ვ)** COVID-19 ტესტის უარყოფითი შედეგის შემთხვევაში, ორსულის სტაციონარში ჰოსპიტალიზაციაზე გადაწყვეტილება მიიღება ოჯახის ექიმისა და ანტენატალური სერვისის მიმწოდებელი დაწესებულების მეან-გინეკოლოგის მიერ დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადის გათვალისწინებით;

**ზ)** ორსულები, რომლებიც იმყოფებიან კარანტინში/თვითიზოლაციაში, რესპირატორული ინფექციის ნიშნების (მაღალი ტემპერატურა, ხველა, ქოშინი და ა.შ) გამოვლენისთანავე ექვემდებარებიან მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ პერინატალური სერვისის მიმწოდებელ სტაციონარულ სამედიცინო დაწესებულებაში ჰოსპიტალიზაციას მიუხედავად დაავადების სიმძიმისა და ორსულობის ვადისა.

